ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

დ. სტეფანწმინდა

განკარგულება:**g-103. 103231182**
თარიღი:**28/04/2023**

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სტეფანწმინდაში მდებარე N74.01.17.056 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების, ყოფილი ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე ორი ოთახის, ფართით 135 კვ.მ ა(ა)იპ "თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრი"-სათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით , უზუფრუქტის ფორმით, 5(ხუთი)წლის ვადით გადაცემაზე ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხ მობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი ს, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის "ბ"ქვეპუნქტის, ამასვე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერის 2023წლის 03 აპრილის N102-1022309351 წერილის გათვალისწინებით:

მუხლი 1. ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერს მიეცეს თანხმობა ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დაბა სტეფანწმინდაში მდებარე N74.01.17.056. საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონება, ყოფილი ცეკავშირის ადმინისტრაციული შენობის მეორე სართულზე ორი ოთახი, ფართით 135 კვ.მ, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, 5 (ხუთი)წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ "თრუსოს დაცული ლანდშაფტის მართვის ცენტრს" ოფისის განთავსების მიზნით;

მუხლი 2.განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მის: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.N17, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

დავითი ქირიკაშვილი

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი